| | | | |
|---|---|---|---|
| **გაზეთი ღირს** | | | |
| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სალიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892



## სასწავლებელი და პანსიონი

## ჯორჯიკიასი

(ქუთაისში)

გიმნაზიის, პროგიმნაზიის, რეალურ და სხვა სასწავლებლების პირველ და მოსამზადებელ კლასში მომზადებისათვის აიღებს სამ-სამს მანეთს თთვიურად. პანსიონერებს შენახვისა და სწავლისათვის გადაახდევინებს წლიურად 180 მან. სასწავლებლის პანსიონში შეუძლიანთ იქონიონ ბინა და სწავლაში დახმარება გიმნაზიის და პროგიმნაზიის მოსწავლეთაც. მეორე, მესამე და სხვა კლასებში მომზადებისათვის მეტსაც აიღებს. ვისაც პანსიონში შვილის მიბარება ან დატოვება უნდა, საჭიროა ოც აგვისტოდგან პირველ სექტემბრამდე შეგვატყობინოს (ტფილისის ქუჩა, საკუთარ სახლში).

(20—103—11)


ყოველ დღე მიიღება „ივერიის" რედაქციაში შემოწირულებანი სოფლად ხოლერით დაზარალებულთა სასარგებლოდ.

## ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ.

ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში 20 აგვისტოს დილით იყო 1 კაცი და 3 დედაკაცი; ამ დღეს მორჩა 1 დედაკაცი—მინასოვისა; გარდაიცვალა 1 დედაკაცი—ნიკიტინისა; გადაყვანილ იქმნა სხვა განყოფილებაში 1 კაცი—პიჩკოვი და 1 დედაკაცი—კალატოზოვისა. სახოლერო განყოფილებაში ავადმყოფი აღარავინ არის.

სამხედრო საავადმყოფოში 20 აგვისტოს დილით 18 ავადმყოფი იყო; ამ დღეს მორჩა 3; დილით 21 აგვისტოს იყო 5 ავადმყოფი.

20 აგვისტოს ხოლერის საეჭვო ნიშნებით გახდა ავად ქუთასის გუბერნიის მცხოვრებელი ნესტორ გოგანიძე (7 ნაწ., თ. მელიქიშვილის ბაღი, ნავთლუღში).

სიღნაღის მაზრის უფროსი იუწყება: 19 აგვისტოს სოფ. ჯუგაანში 13-დგან 19 აგვისტომდე ავად გახდა 5, გარდ. 2, მორჩა 12, დარჩა 3; სოფ. თიბაანში ამავე დროს ავად გახდა 2, გარდ. 13, დარჩა 4; სოფ. ქვემო-მაჩხაანში ავად გახდა 5, გარდ. 3, მორჩა 2; სოფ. ბოდბისხევში არავინ გამხდარა ავად, გარდ. 1, მორჩა 2, დარჩა 2; სოფ, ლაგოდეხში ავად გახდა 6, გარდ. 2, დარჩა 2. სიღნაღის მაზრის ექიმი იუწყება: 18 აგვისტოს ზემო-მაჩხაანის კალოებზედ 16-დგან 17 აგვისტომდე ავად გახდა 2, გარდ. 1, მორჩა 6, დარჩა 14.

ბორჩალოს მაჩრის ექიმი იუწყება: 18 აგვისტოს: სოფ. შულავერში ავად გახდა 3, გარდ. 2, მორჩა 2, დარჩა 2. ამავე დღეს ლორიის საბოქაულოში 28 ივლისიდგან 13 აგვისტომდე სოფ. სომეხთა ჯელალოღლში იყო ავად 2, გარდ. 1, მორჩა 1: სოფ. ვარანცოვკაში ავად გახდა 2; ნოვო-ალექსანდროვკაში ავად გახდა 1, გარდ. 1; შაგალში ავად გახდა 10, გარდ. 7; ურუთში ავად გახდა 1, გარდ. 1; პრივოლნოეში ავად გახდა 2.

დუშეთის მაზრის უფროსი იუწყება 18 აგვისტოს: სოფ. წილკანში 6-დგან 10 აგვისტომდე გარდ. 1, მორჩა 2, დარჩა 2; ძალისში 31 ივლისიდგან 15 აგვისტომდე ავად გახდა 15, გარდ. 7, მორჩა 1, დარჩა 9; სოფ. ბაგაშლაში 13 აგვისტოს ავად გახდა 2; სოფ. დელიბანუკარაში ავად გახდა 1.

ახალციხის მაზრის უფროსი იუწყება 18 აგვისტოს: ქ. ახალციხეში 18 ავადმყოფი იყო, 17 აგვისტოს ავად გახდა 3, გარდ. 2, დარჩა 15.

თიონეთის მაზრის ექიმი იუწყება: სოფ. ხევსურთ-სოფელში ავად გამხდარი გლეხი მორჩა; სოფ. ერწოში ერთი დედაკაცი გახდა ავად ფაღარათობით, პირ-საქმობით და სხეულის მანჭვით და მეორე დღეს გარდაიცვალა. სხვა აღარავინ გამხდარა ავად.

## ახალი ამბავი

*** 20 აგვისტოს საბჭოს დარბაზში მოხდა კრება ქალაქის გამგეობისა და სასანიტარო რაზმთა. კრებამ, თანახმად ქალაქის მოურავის წინადადებისა, ამოირჩია კომისია ექიმებისა, რომელმაც უნდა ხელახლად გასინჯოს, რომელ სახლში იყო ხოლერიანი ავადმყოფი, როგორი დეზინფექციაა ხელმეორედ საჭირო ამ სახლებისა, ან როგორი რემონტია საჭირო, რომ ყოველი ჭირიანი სახლი უშიშარ იქმნას. მეორე დეზინფექცია იმიტომ იცნო კრებამ სავალდებულოდ, რომ ხოლერის ბაცილამ გაზაფხულობით იცის ხოლმე, ჭირიანობის შემდეგ, კვლავ გაცხოველება. გარდა ამ კომისიისა, კრებამ ამოირჩია თანხმად ნ. ი. ნიკოლაძის სარჩიელისა, მეორე კომისია, რომელმაც უნდა დაწვრილებით შეისწავლოს მთელი ისტორია ხოლერის წრევანდელის მოძრაობისა ტფილისში, მეცნიერულად გამოიძიოს მიზეზი, ზოგ ქუჩებში ნამეტნავად რადა მძვინვარებდა და ზოგან-კი ფეხი ვერ მოიკიდა. ეს ცოდნა აუცილებლად საჭიროაო — ბძანა ბ-ნმა ნიკოლაძემ: თუ გვინდა, რომ შემდეგისთვის მომეტებული ღონისძიება გვქონდეს ხოლერასთან ბრძოლისთვისო. ამ სამეცნიერო კომისიაში არჩეულ იქმნენ ნ. ი. ნიკოლაძე, ა. ა. იოანესიანი, ექიმები; სტეფანოვი, ისტამანოვი, ავთანდილოვი, ადამიანცი, რეხტზამერი და ქალაქის ინჟენერი ენფიანჯიანცი. კომისიას უფლება აქვს მოიწვიოს მთათა ინჟენერები, ტოფოგრაფები, გეოლოგები და სხვა სწავლულები, რომ ყოველის მხრივ შეისწავლონ როგორც ნიადაგი ტფილისისა, აგრეთვე მისი ტოპოგრაფიული მდებარეობა და სხვანი. კრებას საკმაოდ დაესწრო გარეშე საზოგადოებაც.

*** 22 აგვისტოდგან, ქალაქის მოურავის განკარგულებისამებრ, დათხოვნილ იქმნენ ფერშლები, დანიმოწყალებისანი და სასანიტარო მოსამსახურენი, რომელნიც აქამდე მიჩემებულ იყვნენ ქალაქის სახოლერო საავადმყოფოში, საზამთროს მოედანზედ. მოწყობილობა ამ საავადმყოფოსი, თეთრეულობა, საწოლები და ყოველივე ავეჯი გადატანილ უნდა იქმნას ქალაქის საქალებო სამკურნალოში. ეს განკარგულება გამოწვეულია მითი, რომ ხოლერა თითქმის მოისპო ტფილისში.

*** სოფლად ხოლერისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და მასთან საბრძოლველად კიდევ მივიღეთ ტფილისის ფერისცვალების მონასტრის მღვდელ-მონაზონის გაბრიელისაგან (ქიტიაშვილი) 1 მანეთი და ტფილისის სამოსამართლო პალატის მოხელე დიმიტრი ხარიტონას ძის რატიაშვილისაგან—1 მან. სულ ორი მანეთი. ამ ფულისა გვქონდა 763 მან. 15 კაპ., ამითი შესდგა 765 მან. 15 კ.

*** ბაქოს გუბერნატორი იუწყება: 17 აგვისტოს ბაქოში ავად გახდა 1, მორჩა 2, არავინ გარდაცვლილა, ავად არის 6; სამხედრო საავადმყოფოში ავად არის 10; მთელს გუბერნიაში, ორი მაზრის გარდა, საიდგანაც ამბავი არ მოგვსვლია, ავად გახდა 48, გარდ. 41, მორჩა 11, ავად არის 43.

განჯის გუბერნატორი იუწყება: 17 აგვისტოს მთელს გუბერნიაში ავად გახდა 39, მორჩა 16, გარდ. 20, ავად არის 89.

ერევნის გუბერნატორი იუწყება: 15 აგვისტოს ერევანში ავად გახდა 17, გარდ. 11, მორჩა 21, ავად არის 113; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 235, გარდ. 143, მორჩა 141, ავად არის 760.

ქუთაისის გუბერნატორი იუწყება: 17 აგვისტოს ქუთაისში ავად გახდა 1, გარდ. 1, მორჩა 1, ავად არის 5; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 9, გარდ. 3, მორჩა 2, ავად არის 30.

ყარსის გუბერნატორი იუწყება: ყარსში ავად გახდა 25, მორჩა 8, გარდ. 7, ავად არის 78.

ზაქათალის ოლქის უფროსი იუწყება: მთელს ოლქში ავად გახდა ხდა 25, მორჩა 8, გარდ. 19, ავად არის 77.

სტავროპოლის გუბერნატორი იუწყება: სტავროპოლში ავად გახდა 6, გარდ. 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 270, გარდ. 162, მორჩა 260.

დაღესტნის გუბერნატორი იუწყება: 17 აგვისტოს შურაში არც იკლო და არც იმატა ავადმყოფობამ; მთელს ოლქში ავად გახდა 366, გარდ 154, მორჩა 294, ავად არის შურაში 14; მთელს ოლქში 1195.

*** ევლახში სადეზინფექციო სადგური გაჰმართეს და წამლებს ასხურებენ იმ მგზავრებს და იმათს ნივთებს, რომლებიც ნუხიდგანა და შუშიდგან მოდიან. აგრეთვე ბილეთის გამყიდველი არ აძლევს ბილეთს მგზავრს, თუ ბარათი არ წარადგინა, რომლიდგანაც სჩანს, რომ სადეზინფექციო წამალ-ნასხურებია იგი.

*** როგორც ცნობა მოსულა ტფილისში თეირანიდგან, მის უდიდებულესობას სპარსეთის შაჰს მადლობა გადუხდია რუსეთის ელჩისათვის, რომ კავკასიის ადმინისტრაცია ისე მხნედ მოიქცა ხოლერასთან ბრძოლის საქმეში ტფილისსა და კავკასიის სხვა ქალაქებშიო.

*** ჩვენ უკვე ვაუწყეთ მკითხველებს, რომ მომავალს სეზონს საზაფხულო თეატრში სამუდამო დასი არ იქნება, არც დრამატიული და არც ოპერისა და თეატრი სომხების დასსა და სხვა არტისტებს მიეცემათ წარმოდგენებისა და კონცერტების გასამართავადაო. ეხლა გაზ „Н. О."-ს გაუგონია: თეატრის ადმინისტრაციამ გადასწყვიტა დაითხოვოს თეატრის მოსამსახურენი და თეატრის კარები სრულიად დაჰკეტოს მომავალ წლის იანვრის თთვემდე. ასეთი გარდაწყვეტილება იმ გარემოებას გამოუწვევია, რომ არავისა ჰსურს თავისის ხარჯით ანტრეპრიზის აღება, ამ წლის სუბსიდიაც უკვე დახარჯულია და თუმცა სესხად უნდოდა ადმინისტრაციას აღება ფულისა მომავალ წლის სუბსიდიის სამაგიეროდ ხაზინისაგან, მაგრამ კავკასიის მთავარ-მმართებელმა ნება არ დართო, ამასთანავე სომხურმა დასმა, რომელიც სტამბოლიდგან უნდა ჩამოსულიყო და სამუდამო წარმოდგენები გაემართა ამ თეატრში, ხოლერის გამო ვადა ჩამოსვლისა გადასდო და არავინ იცის, როდის ჩამოვლენ. სომეხთა დრამატიულმა კომიტეტმა ამის გამოვე წინადადება მისცა ტფილისში მყოფ არტისტებს, საამხანაგო დასი შეადგინეთ და წარმოდგენები ჰმართეთ ხოლმეო, მაგრამ არტისტები არა სთანხმდებიან, თუ კომიტეტი არ მოგვცემს იმ ას თუმანს, რომელიც წარსულის წლისა აქვს დარჩენილიო.

საყურადღებოა ვიცოდეთ, ჩვენი, ქართული დრამატიული კომიტეტი რაღას ჰფიქრობს, სეზონის დაწყებას როდის აპირებს და ან მის მიერ ადმინისტრატორად ამორჩეულმა კაცმა დასის შედგენისათვის იზრუნა რამე თუ არა?!.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობა ეხლა ცნობებსა ჰკრებს იმის შესახებ, თუ ვინ გარდაცვლილა ამ გზის მოსამსახურეთაგანი ხოლერისაგან. ხოლერისაგან გარდაცვლილთა ოჯახობათა შესაწევრად მიეცემათ იმდენი ფული, რამდენიც მოსამსახურესა ჰქონდა ჯამაგირი.

*** 20 აგვისტომდე ამიერ-კავკასიის რკინის გზის ფოსტის ვაგონს აბამდნენ იმ მატარებელს, რომელიც 10 საათზედ და 30 წ. გადიოდა ტფილისიდგან ბათუმს. 20 აგვისტოდგან-კი იმ მატარებელს აბამენ, რომელიც ნაშუადღევის 6 საათსა და 50 წ. გადის.

*** ფოთი: 18 აგვისტოს არავინ გამხდარა ავად, ავად არის 6; 19 აგვისტოს ავად გახდა 1, ავად არის 7.

ბათუმი: „წერა-კითხვის საზოგადოების სასწავლებლის ხოჯა ძალიან მეცადინეობს თურმე, რომ ამ სკოლაში ქართველ მაჰმადიანთა შვილთა რიცხვი გამრავლდეს, მაგრამ ამ საქმეს ზოგი ერთი ხოჯები ხელს არ უწყობენ და უშლიან.

*** სოფ. ნებოძირი: (შორაპნის მაზრა): ნებოძირის სამრევლოს მღვდელმა მამა იოანნე ფერაძემ, გაიგო თუ არა დაბა სურამში ხოლერის გაჩენის ამბავი 27 ივლისს წირვის შემდეგ გარდაიხადა პარაკლისი, რომელსაც ბევრი ხალხი დაესწრო. შემდეგ პარაკლისისა აიაზმით ასხურა ხალხი და შემოუარა თავისის მრევლით ეკკლესიასა და სოფლის უმთავრესს უბნებს. შემდეგ მამა ფერაძემ ეკკლესიის გალავანში მრევლს დარიგება მისცა სისუფთავის დაცვის შესახებ. ამას გარდა, იგი კვირაში თითო ჯერ ფეხდაფეხ დაიარება თავის მრევლში, რომელიც ოთხის სოფლიდგან შესდგება, და თუ რაიმე უსუფთაობას შენიშნავს ვისმეს ეზო-გარემოში, დაუყოვნებლად ასუფთავებინებს.

*** დ. საჩხერე: უცნაური ამბავი გაგიგონიათ და ამისთანა: ჩვენს დაბაში ერთი ყავახანაა, სადაც ყოველ ღამ გათენებამდის ქაღალდის თამაშობასა და სმა-ღრეობაშია უსაქმური ხალხი, ხშირად ჩხუბი მოსდით ღვინით გალექებულებს და გაიმართება ხოლმე ხანჯლის ტრიალი და ერთი ვაი-უშველებელი. უცნაური და სა-

კვირველი ის არის, რომ ეს ყავახანა აქაურ სასანიტარო კომისიის ერთს წევრთაგანს ეკუთვნის. ნუ თუ არ უწყის ამ ბატონმა, რომ გათენებამდე სმა-ლოთობა დიდად მავნებელია ამ ხოლერიანობის დროს და შეიძლება ხოლერა ადვილად გაუჩნდეთ ჯანღონით მოქანცულს ხალხს, თუმცა, ჯერ-ჯერობით, ღვთის მადლით, ჩვენში აქამდე არავინ გამხდარა ავად?!.

*** ოზურგეთის მაზრა: ჩვენმა ავაზაკობამ სრულიად დალია ჩაილურის წყალი; ციებ-ცხელება წარსულ წელთან შედარებით ნაკლებად გვერჩის; მოსავალს კარგი პირი უჩანს. ერთის სიტყვით, წრევანდელი ნავსი და უხამსი წელიწადი ჩვენთვის გულ-კეთილობს ჯერ-ჯერობით, გვიღიმის და ვნახოთ, ეს წყალობა ბოლომდე კასტანს, თუ რისხვად გადიქცევა.

*** სოფ. ჯგეთი (ოზურგ. მაზრა): ამ აგვისტოს 16-ს აქ წარმოდგენა გვქონდა. წარმოადგინეს „ბაიყუში“, კომედ. ცაგარლისა, და ძმ. წულაძეებმა წაიკითხეს გურული სცენები და ლექსები. წარმოდგენას საკმაოდ ბევრი ხალხი დაესწრო და ყველა ნასიამოვნები დარჩა. წარმოდგენის შემდეგ აქაურმა მასწავლებელმა ა. წ—ძემ სიტყვა წარმოსთქვა და საზოგადოებას განუმარტა სახალხო თეატრის მნიშვნელობა. წარმოდგენის შემოსავალი ორად განაწილდება: ნახევარი მიეცემა ერთს ახალგაზდა ხელმოკლე მოსწავლეს და მეორე—აქაურს ქართულს წიგნთ-საცავს. ამავე წიგნთ-საცავის სასარგებლოდ გლეხმა ნიკო ქარუმიძემ ოთხი თუმანი შემოსწირა.

*** ხოლერამ ძალიან იკლო ქალაქში, მაგრამ სამაგიეროდ ახლა თავი ხუნაგმა და ჩუტყვავილამ იჩინა. როგორც სამკურნალოს საზოგადოების გამგეობას აცნობებენ, მიხეილის ქუჩაზედ, ღარიბაშვილის სახლში № 25, ავად გამხდარა ხუნაგით სამოილოვის შვილი. ყმაწვილი მიხეილის სამკურნალოში გაუგზავნიათ. გაზ. „Т. Л.“-ი ამბობს, რომ იმ სახლში ამ რამდენიმე დღის წინად ხოლერით გარდაიცვალა ვიღაც კაცი და ამ სამოილოვის დიდი ოჯახიც ერთს ოთახშია გამომწყვდეული და მეტად ვიწროდა სცხოვრობსო.

*** ცნობილი ავაზაკი, გორის მცხოვრებელი ხასიშვილი, რომელსაც სიკვდილით დასჯა ჰქონდა გადაწყვეტილი და მთავარ-მმართებელმა სასჯელი შეუმსუბუქა და კატორღაში უვადოდ გაგზავნა განუჩინა, გაზ. „Нов. Дня“-ს სიტყვით, მოსკოვიდგან 12 აგვისტოს უკვე გაუგზავნიათ კუნძულ სახალინისკენ სხვა ტუსაღებთან ერთად.

*** 21 აგვისტოს, ღამის სამს საათზე, ელისაბედის ქუჩაზედ ინჟენერის ბატულინის სახლის შესავალ კარებთან პოლიციელმა იპოვნა ექვსი დღის დაბადებული მიგდებული ბავშვი და საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნა.

*** ამავე დღეს 12 წლის ვასილ ირშკოვი მტკვრის პირას, თამაშობდა უეცრად წყალში გადავარდა და დაირჩო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი.)

**ქ. სიღნაღი**, 31 ივლისი. სიღნაღს თითქმის გარს შემოერტყა ხოლერა. დაიწყო დედოფლის წყაროდგან, შემოჰყვა სოფ. მაჩხაანს, ვაქირს, ანაგას, გურჯაანს, კაკაბეთს და შემდეგ საქობოს. ისე მოევლო გარშემო, თითქოს ერთბაშად ძალა შეიკრიბა და ძალ-მომრეობით იერიში უნდა მიიტანოს გამოცდილ სარდალსავით სიღნაღზედაო. იქნება ასეც აპირებს, მაგრამ ჯერ ღვთის წყალობით მშვიდობიანობაა ჩვენს პატარა ქალაქში. ამას წინად-კი ერთი პატარა ბიჭი გამხდარიყო წყალზედ (თავგატეხილაზედ) ავად, შეშინდა ხალხი, გაფრთხა: არიქათ, მკურნალი, ხოლერა შემოგვპარვიაო. მობრძანდა მკურნალიც და ხოლერით ავად გახდომა დაასაბუთა. დადგეს ცოტა მოშორებით (წყლისა) კარავი და დაუდგეს პატარა ტახტი, მისცეს ლეიბი, დააწვინეს და დააყენეს თავზედ დარაჯი. ავადმყოფი ღამე გარდაიცვალა.

სოფლებსა სჭირია დამრიგებელი, ყურის მგდებელი და გამაფრთხილებელი, თორემ მარტო ადმინისტრაცია ვერას გახდება. ნუ თუ მართლა ისე გაწყდა მაინც შეგნებული კაცი სოფლისათვის, რომ ჩადგეს სოფელში და შემწეობა აღმოუჩინოს თავის თანამოძმეებს და ბედისაგან დაჩაგრულს ხალხს? იქნება მართლა არ არის ეს განვითარებული ხალხი? თუ არიან და სად მიიმალნენ ამისთანა გაჭირვებულ დროს? არიან, თითქმის ყოველს სოფელში, ორი და სამი თუ არა, თითო მაინც მოიპოვება. მაშ რას აკეთებენ ეს თითო-ოროლანი მაინც? გულ-ხელ დაკრეფილები და დაღონებულები შეჰყურებენ შორიდგან თავიანთ თანამოძმეების ტანჯვას! დიახ, გულ ხელდაკრეფილები შეჰყურებენ და არაფერს საქმეში მონაწილეობას არ იღებენ, ზოგიერთ სოფლის ყლაპია და წურბელა გაუმაძღარ ვაჟბატონების წყალობით.

ნასწავლმა, გამოცდილმა, სოფლის გულ-შემატკივარმა და განვითარებულმა კაცმა რომ სოფლის მეთაურობა დაიწყოს, მაშინ ზემოდ ნახსენები წურბელა სვავები მშივრები დარჩებიან და მღვრივე წყალში ველარ დაიჭერენ ზუთხებს. მოიწადინებს თუ არა სოფლის გულ-შემატკივარი სოფლის სიკეთეს, მაშინვე ეს გაიძვერა ბატონები გაძვრებ-გამოძვრებიან ხალხში და ერთს ყოფას ასტეხენ: „არიქათ, ეს ვიღაც ოხერია, მშიერია, თავზედ თქვენ დაგაწვებათ, სოფელს შესჭამს, ნასწავლია და აბა თქვენ მაგასთან რა გაგივათო“, და თუ ვინიცობაა გაუჭირდათ, „რაპორტსაცა“ სტკეცავენ, სადაც ჯერ არს, ესა და ეს კაცი „ბუტოვჩიკია“, სოფელს გვიბუნტებს და გვიშველეთ რამეო და სხვ.

აი, ამიტომ უფრთხის ხალხი და სოფელი იმათთვის გულ-შემატკივარს კაცებს და ერთ ვერსზედ ახლო აღარ იყენებს. აი მაგალითიც: სოფელ საქობოს სცხოვრობს ერთი შეგნებული ყმაწვილი კაცი, თ. ვ—შვილი (სამოსწავლო ინსტიტუტში სწავლობდა და ხელმოკლეობის გამო დაანება თავი სწავლას). ამან მოინდომა ს. საქობოს ხარჯის ფულის აკრეფა, სანიტარობა და ყოველ გვარ შესაძლებელ საქმის წარმოება და სოფელიც დაითანხმა, მაგრამ შეიტყეს თუ არა ეს ძველმა მოხელეებმა და გაიძვერა კაცებმა, ასტეხეს ერთი ვაი-უშველებელი. გაფრთხა სოფელი, აღარ მიიყენა ახლო, დაღონდა სოფლის გულ-შემატკივარი, გაიხარა და ჰხარობს სოფლის წურბელა. მოდი და ნუ იტყვით: „დრონი მეფობენო“. დიახ, ჯერ სოფლის ქამიების დრო ჰმეფობს და შემდეგ ვნახოთ.

ქართველი

## რუსეთი

პეტერბურგში 13—14 აგვისტოს ავად გახდა 108, გარდ. 29, მორჩა 39; კრონშტადში 6—13 აგვისტოს ავად გახდა 15, გარდ. 6; მთელს გუბერნიაში 13 აგვისტოს ავად გახდა 49, გარდ. 9.

მოსკოვში 12 აგვისტოს ავად გახდა 8, გარდ. 7, მორჩა 6; მთელს გუბერნიაში ავად არც არავინ გამხდარა და არც გარდაცვლილა.

ასტრახანში 12 აგვისტოს ავად გახდა 2; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 30, გარდ. 19, მორჩა 55.

ვლადიმირში 12 აგვისტოს ავად გახდა 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 4, გარდ 5, მორჩა 5.

ვორონეჟში 12 აგვისტოს ავად გახდა 3, გარდ. 1, მორჩა 4; მთელს გუბერნიიდგან ამბავი არ მოგვსვლია.

ვიატკაში 12 აგვისტოს მორჩა 2.

ეკატერინოსლავსკის გუბერნიაში 12 აგვისტოს ავად გახდა 95, გარდ. 34, მორჩა 17.

ყაზანში 12 აგვისტოს ავად გახდა 12, გარდ. 4, მორჩა 7; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 133, გარდ. 49.

კოსტრომაში 11 აგვისტოს მორჩა 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 4, გარდ. 2, მორჩა 2.

კურსკში 12 აგვისტოს ავად გახდა 2, გარდ. 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 138, გარდ. 47, მორჩა 34.

ნიჟნი-ნოვგოროდში 13 აგვისტოს ავად გახდა 12, გარდ. 7, მორჩა 20; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 18, გარდ. 5, მორჩა 22.

ორენბურგში 12 აგვისტოს ავად გახდა 28, გარდ. 17, მორჩა 12; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 79, გარდ. 33, მორჩა 29.

ორლოვსკის გუბერნიაში 11—12 აგვისტოს ავად გახდა 22, გარდ. 5.

პენზაში 12 აგვისტოს ავად გახდა 41, გარდ. 15, მორჩა 19; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 58, გარდ. 33, მორჩა 29.

პერმში 12 აგვისტოს ავად გახდა 5, გარდ. 2; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 4, გარდ. 18.

პოლტავაში 11 აგვისტოს ავად გახდა 1, გარდ. 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 19, გარდ. 7.

რიაზანში 13 აგვისტოს ავად გახდა 3, გარდ. 2; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 34, გარდ. 15, მორჩა 11.

სამარაში 12 აგვისტოს ავად გახდა 10, გარდ. 3, მორჩა 10; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 413, გარდ. 154, მორჩა 172.

სარატოვში 12 აგვისტოს ავად გახდა 9, გარდ. 4; მთელს გუბერნიაში 10 აგვისტოს ავად გახდა 633, გარდ. 260.

სიმბირსკში 12 აგვისტოს გარდ. 2; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 175, გარდ. 97.

კერჩში 12 აგვისტოს ავად გახდა 1, გარდ. 3.

ტამბოვსკის გუბერნიაში 12 აგვისტოს ავად გახდა 504, გარდ. 219, მორჩა 244.

ტვერში 7—11 აგვისტოს ავად გახდა 6, გარდ. 3.

ტულას გუბერნიაში 8—10 აგვისტოს ავად გახდა 61, გარდ. 22.

უფაში 12 აგვისტოს ავად გახდა 4, გარდ. 3, მორჩა 2; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 108, გარდ. 34.

ხარკოვში 12 აგვისტოს ავად არავინ გამხდარა, მორჩა 5; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 137, გარდ. 46.

იაროსლავში 12 აგვისტოს ავად გახდა 11, გარდ. 3, მორჩა 10; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 10, გარდ. 2, ქ. რიბინსკში ავად გახდა 9, გახდ. 2.

ნოვოჩერკასკში 10—11 აგვისტოს ავად გახდა 10, გარდ. 8, მორჩა 8; ქ. როსტოვსა და ნახიჩევანში (დონისა) ავად გახდა 31, გარდ. 14, მორჩა 39; ქ. ტაგანროგში ავად გახდა 7, გარდ. 5, მორჩა 10; მთელს ოლქში იმავე დროს ავად ხდებოდა ორთა შუა რიცხვით დღეში 628, იხოცებოდა 297, რჩებოდა 348.

ყუბანის ოლქში 12 აგვისტოს ავად გახდა 387, გარდ. 218.

თერგის ოლქში 12 აგვისტოს ავად გახდა 420, გარდ. 260.

ენისეისკის გუბერნიაში 4—12 აგვისტოს ავად გახდა 25, გარდ. 8.

ომსკში 12 აგვისტოს ავად გახდა 50; აკმოლინის ოლქში ავად გახდა 44, გარდ. 22; სემიპალატინსკის ოლქში ავაგ გახდა 78, გარდ. 31; სემირეჩენსკის ოლქში ავად გახდა 2.

ტომსკში 12 აგვისტოს ავად გახდა 52, გარდ. 29, მთელს გუბერნიაში ავად გახდა 56, გარდ. 23.

ტურგაის ოლქში 9—10 აგვისტოს ავად გახდა 19, გარდ. 9.

ურალსკში 12 აგვისტოს ავად გახდა 18, გარდ. 4, მორჩა 8; მთელს ოლქში ავად გახდა 114, გარდ .52, მორჩა 43.

იმიერ-კასპიის მხარეს 7 აგვისტოს ავად გახდა 28, გარდ. 21.

ტაშკენტში 9 აგვისტოს ავად გახდა 10, სხვადა-სხვა მაზრაში ავად გახდა 184.

## დეპეშა

20 აგვისტო

**პეტერბურგი**. გუშინ მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი ბიერკეს მივიდნენ; შაბათს დანიშნულია უმაღლესი აღლუმი უსტიჟორის ბანაკის ჯარისა.

გუშინ დაამთავრა მუშაობა საერთაშორის სირკინის-გზო კონგრესმა. კონგრესის წევრნი, ავსტრიის დელეგატებს გარდა, მოსკოვს გაემგზავრნენ.

18 და 19 აგვისტოს პეტერბურგში ავად გახდა 123, გარდ. 40, მორჩა 87; ხოლერამ ლიუბსკშიაც იჩინა თავი და, როგორც ხმა დადის, აგრეთვე ბრესლავსკშიაც.

**ლონდონი** ავღანისტანის ემირის ჯარმა ხაზარასებს კვლავ წაართვა კამსანი, მაგრამ ბრძოლის დროს 460-მდე კაცი დაეხოცათ; ხაზარასებმა სხვა ადგილებში გაიმარჯვეს; იმათ გარდასწყვიტეს, უკანასკნელ ღონისძიებამდე არ შეეჩერებინათ ბრძოლა. ავღანისტანელებს სურსათი შემოაკლდათ და ჯარის-კაცნი შიმშილით ჯარს თავს ანებებენ და აქეთ-იქით იფანტებიან.

ვიქტორიაში, ინგლისის კოლუმბიაში, 18 ივლისტოს მივიდა ერთი ამერიკისა და სამი ინგლისის ხომალდი, რომელნიც ივლისის თთვეში ბერინგის ზღვაზედ რუსეთის სამხედრო ხომალდმა „ზაბიაკამ“ დაიჭირა ზღვის ლორებზედ ნადირობის დროს. ხსენებული ხომალდები წაიღეს პეტრეპავლოვსკში გასასყიდად, მისნი მოსამსახურენი-კი ნაპირებზედ გადმოსხეს მოაწერინეს რა ხელი, რომ ზღვის ლორებს ვიჭერდით რუსეთის წყლებზედაო.

21 აგვისტო

**პეტერბურგი**. რუსეთის საელჩო, რომელიც ბაღდადში იმყოფება, იუწყება, რომ ჟამით ავად გახდომის შემთხვევა კალეტ-ეს-რიკრში 5 ივნისიდგან აღარა ყოფილა და ამიტომ ეს ადგილი უშიშარ ადგილად ითვლებაო.

19 და 20 აგვისტოს პეტერბურგში ხოლერით ავად გახდა 144, გარდაიცვალა 54, მორჩა 58.

**ლონდონი**. როდესაც გლადსტონი გოვარდენის ბაღში დადიოდა, ძროხა გამოეკიდა; გლადსტონმა ხეს უკან მოფარება მოასწრო და არა დაშავებია-რა, მაგრამ საშინლად-კი შეშინდა.

ბომბეიდგან დეპეშით იუწყებიან: პენჯაშის რამდენსამე რაზმს ბრძანება გაეცა, მზად იყავით, რომ ვანის ჯარებს მოეხმაროთ გომალის დავაკებაზედ, თუ ვინიცობაა ემირი თავისს აგენტებს უკან არ გაიხმობს, იმ აგენტებს, რომელნიც იქ უწესოებას ავრცელებენ.

შანჰაიდგან დეპეშით იუწყებიან: ხელი მოაწერეს ახალს სატელეგრაფო ხელ-შეკრულობას რუსეთთან.

პეტერბურგის ბირჟა, 18 აგვისტო.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გარიგებანი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | $7_{85}$ | $7_{88}$ | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 156¾ | 157½ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | $1_{08}$ | $1_{10}$ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 234¾ |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 221½ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — „ | — „ | 193¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | 102¼ | — „ | — „ |
| 5%. . . . . . | 99½ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 102¼ | — „ | — „ |
| 5%. . . . . . | 99¾ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98¼ | — „ | — „ |

Дозв. ценз. Тифлисъ, 21-го Августа 1892 г. სტამბა შ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.